ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

# გადაწყვეტილება №2287818

ნომერი: AR1350386

თარიღი : 02.11.2015

გაცემის თარიღი : 18.11.2015

გაცნობის თარიღი : 18.11.2015

შედეგი : განუხილველი.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა დელისი , N9-ის მიმდებარედ , (ნაკვეთი N7/58) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გივი გოგრიჭიანი პ/ნ 60003000511
- ქ.თბილისი. თ.ერისთავის #3/90

ნომენკლატურა :

- მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობა
- IV კლასი
- ახალი მშენებლობა
- ესკიზის წინასწარი შეთანხმება

.სატიტულო ინფორმაცია.:

- .ფუნქციური დანიშნულების სახეობა.: საცხოვრებელი,საზოგადოებრივი
- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: გივი გოგრიჭიანი
- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: შ.პ.ს "კაზაპროექტი"
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 206333804

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის

24 მარტის #57 დადგენილების თანახმად

# გადაწყვეტილება

სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად წარმოდგენილი დოკუმენტაცია, რასთან დაკავშირებით გაცნობებთ: წარმოდგენილი პროექტით არ არის დაცული სამსახურის 23.05.2013წ. №695055 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში მე–2 პუნქტში მითითებული შენიშვნა: "რადგანაც მიწის ნაკვეთს საზოგადოებრივი სივრცე არ ემიჯნება შენობა–ნაგებობის სიმაღლე უნდა განისაზღვროს საკადასტრო საზღვრებიდან ან წარმოადგინოს მომიჯნავე ნაკვეთების მესაკუთრეების თანხმობა შენობის განთავსებაზე" . აღნიშნულის თაობაზე თქვენ არაერთხელ გეცნობათ სამსახურის მიერ.

აქვე გაცნობებთ, სამსახური თვლის, რომ წარმოდგენილი საპროექტო ობიექტის ვიზუალური მხარე საჭიროებს უფრო მეტად გადამუშავება-დახვეწას, როგორც არქიტექტურულ-მოცულობითი თვალსაზრისით, ისე მოსაპირკეთებელი მასალებისა და ფერის გადაწყვეტის ნაწილში ფუნქციის შესაბამისად, სასურველია წარმოდგენილი იქნას შენობის მოცულობით-არქიტექტურული გადაწყვეტის ალტერნატიული ვარიანტ(ებ)ი ესკიზის წინასწარ შესათანხმებლად. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე სამსახური ამ ეტაპზე მოკლებულია შესაძლებლობას განიხილოს წარმოდგენილი ესკიზი. დაუშვებელია საცხოვრებელი ფართის ღიობის გარეშე მოწყობა (მინაბლოკის გამოყენება). ასევე გაცნობებთ, რომ მიჯნის ზონაში "ჟალუზები"–ს მოწყობა ჩაუხედაობას ვერ უზრუნველყოფს და საჭიროა პროექტი მოიყვანოთ ნორმებთან შესაბამისობაში და დაიცვათ მიჯნის ზონები;
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას წარმოდგენილი სახით განიხილოს პროექტი და შესაბამისად განაცხადი AR1350386 რჩება განუხილველი.

---

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.